

ლოქსნუმი

გაზეთი გამოდის
1993 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი

№104 (6481)

3 ოქტომბერი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

მოსავალი — 91

და დაბინავებას უარესად დი-
დი მნიშვნელობა ენიჭება. სწო-

ლური დაინტერესება, ვინც მეტ
ხილსა და უფროებს ჩაბარებს

შემოდგომის ამ „სხელ“ დღეებში

იხსენებოდა ბორგავს ჩვენი მრავალ-
ტანჯული მიწა. შფოთითა და
განსაცდელით განვლეთ შემო-
დგომის პირველი თვე—სექტე-
მბერი, რომელმაც ნადვლის და
გულისწყრომის, ურთიერთშეუ-
რაცხოვრისა და ურთიერთსიძუ-
ლვის აპოგეას მიაღწია. საქ-
ართველო, ქართველი ერი ორ
დაპირისპირებულ ბანაკად გაიხ-
ლიჩა, ისინი, ვინც გუშინ ერო-
ვნულ მოძრაობაში ერთმანეთს
გვერდით ედგნენ, დღეს ერთმან-
ეთს დაუპირისპირდნენ, ქართვე-
ლმა ქართველის სისხლი და-
ღვარა, სასწავლებლებისა და სა-
მუშაოს ნაცვლად აღმანიება
მიტინგებზე მიერქარებათ.

ლეჩხუმელი ხალხი ყოველთ-
ვის იყო, არის და იქნება იქ,
სადაც ჩანს აზრია, ღმერთ-
მა არ ქნას, რომ ოქტომბერიც
შფოთითა და ნადვლით იქნეს
აღსავსე. შემოდგომის ამ დაძა-
ბულ დღეებშიც რაიონის მშრო-
მელები ჩვეული ერთგულებითა
და მონდობით გაითავისებენ
ეროვნული მნიშვნელობის საქმ-
ეს, თავის წვლილს შეიტანენ
დიდი შრომით მოწეული მოსავ-
ლის დროულად დაბინავებისა
და დამამზადებელ ორგანიზაცი-
ებზე მიყიდვის საქმეში. რაღა
დღეს მოსავლის დროულ და
უდანაქარად აღებას, დაცვასა

რედ ამიტომაც შექმნილი სოფ-
ლის მეურნეობის პროდუქტებ-
ის 1991 წლის მოსავლის დრო-
ულად და უდანაქარად აღების,
რესპუბლიკის მოსახლეობის სუ-
რსათით მომარაგების გაუმჯობე-
ლების ღონისძიებათა ხელმძღვა-
ნელობისა და კოორდინაციის
შტაბი, ამის შესაბამისად რაიო-
ნში რაიონული საკოორდინაციო
შტაბი მოქმედებს, რომელსაც
რაიონის პრეფექტი ტარიელ
ალავეძე ხელმძღვანელობს.

ახლა ჩვენთან თესლოვანი ხი-
ლის კრეფა და დამამზადებელი
ორგანიზაციებისთვის ჩაბარება
მიმდინარეობს. სახელმწიფო
დაკვეთა 6000 ტონა ხილის მიე-
ღვას ითვლისწინებს, აქედან
თესლოვანი უნდა დამზადდეს
3550 ტონა, მალე

უფროსი კრეფა დაიწყება. რაი-
ონის ღვინის საწარმოებს ლეჩ-
ხუმელ მევენახეთა მიერ მოწეუ-
ლი 2000 ტონა უფროდ უნდა
მიეყიდოს. რაიონში ყველა რე-
ზერვი და საშუალებაა იმისა,
რომ ხილისა და უფროსი სახე-
ლმწიფო დაკვეთა შესრულდეს.
ამას ხელი უნდა შეუწყოს იმან,
რომ გაზრდილია შესასყიდი ფა-
სები, რაიონის საკოორდინაციო
შტაბის გადაწყვეტილებით და-
წესებულია იმ პირთა მატერია-

შესაძლებლობის ფარგლებში.
მატერიალური წახალისების მიზ-
ნით გამრეყოფათ ადგილობრივი
და იმპორტული წარმოების დე-
ფიციტური სახალხო მოხმარების
საქონელი.

ხილისა და უფროსი სახელმწი-
ფო დაკვეთის შესრულებისათვ-
ის აქტიურად უნდა იზრუნონ
საქრებულოებმა, დეპუტატებმა,
საზოგადოებრივი ორგანიზაციე-
ბისა და სამართალდამცავი ორ-
განოების წარმომადგენლებმა.
სამართალდამცავმა ორგანო-
ებმა სათანადო რეაგირების გა-
რეშე არ უნდა დატოვონ ეროვ-
ნული საკუთრების ხელყოფის
არც ერთი ფაქტი. მკაცრი მსჯე-
ლობის საგანი უნდა გახდეს მო-
წეული მოსავლის ხელყოფისა
და განიავების ყოველი შემთხ-
ვეა. ამ მხრივ პასუხისმგებლო-
ბა ადგილობრივ საკრებულოთა
გამგებლებსა და საზოგადოებრივ
მეურნეობათა ხელმძღვანელებს
უნდა დაეკისროს.

მაშ, ასე, საქართველოში შემ-
ოდგომის ამ „ცხელ“ დღეებში
აუცილებლად უნდა შევძლოთ
მოწეული მოსავლის დროულად
აღება-დაბინავება, უფროსი და
ხილის სახელმწიფო დაკვეთის
შესრულება.

კ ო ზ ი ც ი ა

„ერის წყლული“

გვარდის წყლულად ქრონიკული
გიგლიოთია



რამდენი რამ გტკივა, საქარ-
თველოვ! რამდენ ტკივილს
იტან, ქართველო ერო, ცრემლშე-
უმშრალი დღეები გვიღვას,
ცრემლებად ვიქცეოთ და მაინც
ცაცხლივით ვანთივართ, ტკივი-
ლზე ცივილი გვემატება და მა-
ინც კლდესავით ვდგავართ, რამ-
დენი რამ გვაწუხებს და რამდ-
ენს ვიტანთ.

მე ჩემი სამშობლოს ტკივილი
მტკივა, ჩემი ხალხის ვარამი
მალაპარსებს, ჩემი ზოგიერთი
გონსგადასული თანამოქალაქის
საქციელი მაკვირვებს და სევდა
მხარჩობს, ბოლშა მხარჩობს, რა-
ტომ? რისთვის? მე ყ აპრილს
დახოცილ თანატოლთა სხეულე-
ბი მტკივას და მტკივა, სამშობ-
ლოს რომ შევიწირენ უმანკო ას-
ულეები.

რამდენს გაუძელ, საქართველო
და რამდენს უძლებ, ქართვე-
ლო ხალხო, ოდითგანვე გტეხ-
დნენ, ოდითგანვე გკლავდნენ,
მაინც არ დაეცი, საუკუნეებს
გაუძელი და ამაყი, შეუპოვარი
სული კვლავ შეინარჩუნე.

საქართველო! ყოველთვის
ამაყობდი შენი შეილებით, შენს
თავისუფლებას და შენარჩუნებ-
ას რომ ეწირებოდნენ, ჩვენ მა-
თი შთამომავალნი ვართ, ჩვენში
მათი სისხლი და სულია, მათი
თვლებით ვიხედებით და გულ-
იც ისე გვიცემს, როგორც მათ
უცემდათ, მაგრამ ჩვენდა საუბ-
ედუროდ, დღესაც გვეყვანს შა-
დიმან ბარათაშვილები, მაყაშვი-
ლები, ყორღანაშვილები, რომე-
ლნიც აგრძელებენ ამ მოღალა-
ტე ქართველების ნაცად გზებს.

დღეს უმძიმესი გასაჭირი უდ-
გას ჩვენს ტანჯულ მამულს,
მრავალჭირგამოვლილს შინაური
თუ გარეშე მტრისაგან. ახლა,
როცა განსაკუთრებული ერთო-
ბა, თანადგომა და ურთიერთსი-
ყვარული ძალიან გვეკირდება,
გავითიშეთ, გავითიშოკადით,
დავიყავით მოწინააღმდეგე მხა-
რებელად, მერედა ვინ ვის ვეომე-
ბით? ქართველი ქართველს?
ძმა ძმას? ერთი გენის და სისხ-
ლის მქონენი ერთმანეთს? რის-
თვის? დაკარგული პრესტიჟის
აღდგენისათვის? არა! ქართველი

კაცი გონიერია, მას არ ეშლე-
ბა, ვის რა მიზანი აქვს, არასო-
დეს შეცდება სიტუაციის შეფ-
ასებაში, არასოდეს მიაგებს პა-
ტივს იმას რაც არ არის პატი-
ვისსაგანი და ნდობით აღსაქურ-
ვი. მთელი ისტორია ამ პრინცი-
პით იქედებოდა. ძალიან მძიმეა
ეს ტრადიცია ჩვენთვის. ერთმა-
ნეთთან დადგომა დღეს ისე
გვეკირდება, როგორც არასდროს.
ჩვენი გადარჩენის ერთ-ერთი
უმთავრესი პირობა იყო მუდამ
ამაყი სული და მტკიცე ნებისყ-
ოფა, რწმენა და იმედო, რომე-
ლმაც გაგვძლიერა. ქართველი
ერი სულ ბრძოლაში იყო ჩაბმ-
ული და იბრძოდა თავის გადარ-
ჩენად, რომელი დამპყრობელ-
თან არ უმოხია ამ პატარა ერს,
მაგრამ სადაც ერთსულეობა
და თანადგომა იყო, სულ გამა-
რჯებას ზეიმობდა.

დამპყრობელთან ვიმარჯვებდ-
ით, ხოლო შინაური ომები და
აშლილობა ყოველთვის მარცხი
იყო საქართველოსთვის, რადგან
ყველას დიდუცაობა სურდა და
საკუთარი მიზნების ასრულება.

დღეს ერთგულება სჭირდება
ეროვნულ მთავრობას, რომელ-
მაც საკუთარი მხრებით მოიტა-
ნა ეროვნული ამბოხების სულ-
ისკვებება. მთელმა ერმა გამოხ-
ატა ეს ერთგულება სამგზის
არჩევნებში.

დღეს, როდესაც ჩვენს ირგვ-
ლივ ამდენი მკვლელობა, ქურდ-
ობა, გატაცება, ფულის გამოძა-
ლვა და ათასი შემწარავი დანა-
შაულობანი ხდება, მეზობელა კი-
თხვა: ნუთუ აღარ დიდს ჩვენს
ძარღვებში სისხლი ქართული,
ერთმანეთის სიყვარულისა და
დანდობის გრძნობით შექერბუ-
ლი?

აუცილებელია შეგვება იმისა,
რომ უნდა მოვითმინოთ ყოველ-
გვარი გასაჭირი. ყველამ უნდა
გავითვალისწინოთ ის, რომ დღეს
მთავარია ერთიანობა, და არა
დაპირისპირება, რათა გადავარჩ-
ინოთ საქართველო ძმთა მკე-
ლეულ სამოქალაქო ომს.

დარიკო ვრუშიძე,
ალმანა.

1991 წლის 21 სექტემბერი
სამუდამოდ დარჩება ქართველ-
თა ისტორიაში. დარჩება როგ-
ორც მწარე გაკვეთილი პოლიტი-
კოსათათვის, როგორც უმადლო-
თით ამბავი მამულისათვის. ქარ-
თველი კაცის თავგანწირვისა. ამ
დღეს თბილისში, რუსთაველის
გამზირზე, უამრავი ალმანის
თვალწინ თავი დაიწვა ახალგაზ-
რდა ქართველმა კაცმა გია აბე-
საძემ. უბრალოდ—გადისხა ბენ-
ზინი და ასანთს გაჰკრა. მისი
აღმოდებული, აგიზგიზებული
ტანი ალბათ სიკვდილამდე
შემაჩრავ ლანდელ მოგჩვენებთ
ამ სასტიკი სურათის მხილე-
ლთ. შემზარავია, არა? მაგრამ
არანაკლებ შემზარავია ის რე-
ინანსი, რაც ამ ფაქტმა გამოიწ-
ვია არცთუ ცოტა ქართველის
სულში. ჩვეულებრივმა, რიგით-
მა ქართველმა, დიასახლისმა,
გუშამ, მოსამსახურემ და გლეხ-
მა, თქვენ წარმოიდგინეთ, პელა-

გოგამაც კი მაშინვე დასკვნა—
სულელი ყოფილა, რისთვის
მოიკლა თავიო. არ მორიდებით
ამ აზრის ხმამალა გამოთქმა
კი არა, ამაში სხვისი დარწმუნ-
ების ცდაც. სავარაუდო ნაცნო-
ბების მოჩხრეკაც არ გაჭირვებ-

იათ და დღეს უკვე სრული სე-
რიოზულობით ამტკიცებენ—სი-
გვის ნიშნები ჰქონდაო.
უნებლიედ მახსენდება დიდი
ილიას თითქმის ასი წლის წინან-
დელი წუხილი: „სიკეთეს ყველ-
ანი გადავჩვეულვართ, კეთილი
არა გვემს, სული და გული
ამოგვშრობია. კაცმა რომ პატი-
ოსანს და კეთილს საქმეს თავი
შესწიროს, ერთი ჩვენგანი არ
დაიჭერებს. რატომ? იმიტომ,
რომ ყოველი ჩვენგანი იმ კაცის

ალაგას თავის თავსა დააყენებ-
და და იტყოდა: მე უანგაროდ
გმას ვიქმნიდი? ამის პირდაპირი
პასუხი „არა“ იქნებოდა, რასაკ-
ვირველია... მაშ, არც ის იქმო-
და“, —დასკვნის „გონიერი ქარ-

თველი: და გამოვიდა, რომ პა-
ტიოსანი თავგანწირული კაცი
გაუპატიურებული იქნებოდა ქა-
რთელის თვალში“. და კიდევ:
„ჩვენ გულს გაგვიგმირავს ხოლ-
მე ცხოველი სიტყვა, ჩვენის
ქმისვე სიკეთე, ჩვენი ქმისვე
ჩვენთვის თავგამოდება. პირველი
ქვა, რომელიც თავგამოდებულს
მოხვდება ხოლმე, ქართველისაგ-
ანვე არის გამოტყორცნილი. წა-
დი აქა და ძლიერი მუხლი ნუ
მოგვეტრება. რათა ვართ ასე?

იმიტომ, რომ ჩვენ აზრსაც,
გრძნობასაც გადავჩვეულვართ.
მერე ასე გადავჩვეულვართ, რომ
ცოცხალი აზრი, პატიოსნური
გრძნობა, უანგარო გულმხურვა-
ლება, თავგამოდებული ხალხი

რომ ვნახოთ, ვერც კი ვიცნ-
ობთ... ავიღებთ და იმასაც ლა-
ფში გავსვრიტო“.

როგორ დავცემულვართ ილ-
იას მერე. ახლა აზრსა და სიტ-
ყვას ვინლა ჩივის, კაცმა საქცი-
ელი ჩაიღინა ისეთი, ბრუნდად
გარჩევის გზა არ დატოვა, ქარ-
თველმა კი ეს გზა რომ ვერ
დაინახა, —გიჟი ყოფილაო, დაას-
კვნა. აფერუმ შენ ქართველო, თუ
ამაღლებული შენთვის სისულელის
ტოლფასია. მაშინ რაღა აზრი

აქვს შენს სიცოცხლეს, იგი
ხომ იმად არა, ღირს, მხო-
ლოდ კუჭის ამოცეპასა და ცო-
დილი სსეულის ფარჩა-ატლას-
ით შემოსვარე იფიქროს კაცმა.

მისმინე, ქართველო, ვინც არ
უნდა იყო, რა პროფესიისა და
განათლების პატრონი, სულს
მოვეუბნოთ, ჩვენივე მიზეზით
დაცემულსა და დაქვინებულს.
კაცმა ჩვენთვის თავი გაწირა,
მარტო თავი კი არა, სულიც.
ქართულის ისტორიას ბევრი
გმირი ახსოვს. თითქმის უკლებ-
ლივ ყველა ეს გმირი ეკლესიამ
წმინდანად შერაცხა და ღვთიურ
ანგელოზთა გვერდით მიუჩინა
ბინა. ისინი კვდებოდნენ იმ
იმედით, რომ მამულისათვის
თავგანწირვას დაუფასებდათ
ღმერთიც და მამულიც. გია აბე-
საძემ კი სულიც გაწირა, ხალხო.

დასასრული მე-8 გვერდზე

ვინღაა გმირი?

იათ და დღეს უკვე სრული სე-
რიოზულობით ამტკიცებენ—სი-
გვის ნიშნები ჰქონდაო.
უნებლიედ მახსენდება დიდი
ილიას თითქმის ასი წლის წინან-
დელი წუხილი: „სიკეთეს ყველ-
ანი გადავჩვეულვართ, კეთილი
არა გვემს, სული და გული
ამოგვშრობია. კაცმა რომ პატი-
ოსანს და კეთილს საქმეს თავი
შესწიროს, ერთი ჩვენგანი არ
დაიჭერებს. რატომ? იმიტომ,
რომ ყოველი ჩვენგანი იმ კაცის

თველი: და გამოვიდა, რომ პა-
ტიოსანი თავგანწირული კაცი
გაუპატიურებული იქნებოდა ქა-
რთელის თვალში“. და კიდევ:
„ჩვენ გულს გაგვიგმირავს ხოლ-
მე ცხოველი სიტყვა, ჩვენის
ქმისვე სიკეთე, ჩვენი ქმისვე
ჩვენთვის თავგამოდება. პირველი
ქვა, რომელიც თავგამოდებულს
მოხვდება ხოლმე, ქართველისაგ-
ანვე არის გამოტყორცნილი. წა-
დი აქა და ძლიერი მუხლი ნუ
მოგვეტრება. რათა ვართ ასე?

იმიტომ, რომ ჩვენ აზრსაც,
გრძნობასაც გადავჩვეულვართ.
მერე ასე გადავჩვეულვართ, რომ
ცოცხალი აზრი, პატიოსნური
გრძნობა, უანგარო გულმხურვა-
ლება, თავგამოდებული ხალხი

რომ ვნახოთ, ვერც კი ვიცნ-
ობთ... ავიღებთ და იმასაც ლა-
ფში გავსვრიტო“.

როგორ დავცემულვართ ილ-
იას მერე. ახლა აზრსა და სიტ-
ყვას ვინლა ჩივის, კაცმა საქცი-
ელი ჩაიღინა ისეთი, ბრუნდად
გარჩევის გზა არ დატოვა, ქარ-
თველმა კი ეს გზა რომ ვერ
დაინახა, —გიჟი ყოფილაო, დაას-
კვნა. აფერუმ შენ ქართველო, თუ
ამაღლებული შენთვის სისულელის
ტოლფასია. მაშინ რაღა აზრი

ალბათ მართლა გადავიწე-
დით, დავარგეთ რწმენა ყველ-
ასა და ყველაფრისადმი
და ამ ფონზე რა მარგალიტით
ბრწყინავს ქრელა-ქრულა საზო-
გადოებაში ოჯახი კემმარიტი
ტრადიციებით, კულტურით, სუ-
ლით ზორცამდე ქართველობით,
სიღარბისლით.

ჩვენს ქალაქშია ერთი ასეთი,
დახვეწილ ინტელიგენტთა ოჯახი
— ჩარკვიანების ფუძე.

ქალბატონი ნუნუ გამცემლი-
ძეა ამ ოჯახის დედა.
თავად კარგ მანდილოსანს,
ლენსუმის საზოგადოებაში პატ-
ივლებულს, არცა ჰქონდა უფლ-
ება ამ ძირძველი ოჯახის ტრადი-
ციები არ გაეგრძელებინა.
მამათილი, ბატონი კუჭური
ჩარკვიანი სწავლული აგრონომი,
სოციალისტური შრომის გმირი,
მთელი თავისი შეგნებული ცხო-
ვრება ლენსუმში მევენახეობა-
მეღვინეობის აღორძინების კეთ-
ილშობილურ საქმეს ემსახურე-
ბოდა, დედამთილი, ქალბატონი
თამარ ყიფიანი, პედაგოგი
გახლდა.

...საოჯახო აღზომს ვათვ-
ალიერებო. ძალზე გავიცატა
ოჯახის ისტორიამ, ძველმა ფო-
ტოგრაფიამ თუ სხვა მას-
ალებმა. სამეგრელოს მთავრის
ლევან დადიანის ოჯახთან,
სვენეთში დადგენილანთან,
ლაქანაში გელგონებთან, ტვისა
და დერჩში ახვლედიანე-
ბთან ნათესაური თუ ახლობლუ-
რი კავშირი ჰქონია ოჯახს.
ჩვენს თავლწინ გაცოცხლდა
მე-19 საუკუნე. დადიანის მოუ-

რავის სოცრომ სვანიძისა და
მისი მეუღლის: სახიკაძელო
მწერალი ქალის დესპინე გელო-
ვანის (რომელსაც ახლობლები
ცუცუნიათ ეპახნენ), აკადემიკოს
გიორგი ახვლედიანისა და
სხვათა პორტრეტები.

გაპვეთილი

ოჯახის უძვირფასესი რელი-
ქვია 1899 წელს დასტამბული
„ვეფხისტყაოსანი“, რომელიც
მზითვეში მოპოვლია ოჯახის
ბებია ქალბატონ გოგუცას,
ასათიანის ქალს. ეს
არის უნიკალური გამოცემა,
ოქროსფარული მოხატული,
საუცხოო ქართული შრიფტით
ნაბეჭდი.

და მოდის ოჯახი ეგზომ
ლონიერი ფესვებიდან, აკეთებდა
ეს აკეთებს ქართულ საქმეს,
რასაც ზნეობა, ოჯახის ღირს-
ება, კუთხის სიყვარული, შვილე-
ბის აღზრდა ჰქვია.

ბედნიერი ოჯახია-თქო,
ვთქვით, მაგრამ არა,
არც ეს კერა დაუტოვებია 1937
წლის ქარიშხალს ხელშეუხებე-
ლი დიმიტრი ჩარკვიანი—ოჯა-
ხის უფროსი, შესანიშნავი
ვაჟკაცი, გადაუსწლდობით
უმიზეზოდ, ტყუილუბრალოდ.

(?)
გამიგრძელდა ოჯახზე საუ-
ბარი. ნუნუ გამცემლიძე იმერ-
ელი ქალიშვილი (ხარაგაულის
რაიონიდან) ინჟინერ-ტექნოლო-
გის დიპლომითა და სამინისტ-
როს საგზურით 1954 წელს ლე-

ჩხუმში გამოანაწილეს სამუშა-
ოდ. ორბელის წვერამდე მოგ-
ვიყვანა მანქანამ მე
და მამაო, იკონებს თავად, ორბ-
ელიდან რომ გადმოვიხედეთ,
ცივად უკან დამაბრუნაო.
და მაინც, სადაც არის ბედი

შთაბრუნებელი

შენი... ისევ მოვიდა ცაგერში.
ღვინის ქარხანაში ქიმიკოსად
დაიწყო მუშაობა ახ-
ალბელა სპეციალისტმა.
პატარა ბავშვივით ეფერებოდა
თურმე მთელი კოლექტივი
ზრდელ, გონიერ, ჭიკრიკით
ქალიშვილს, მამამთილიც ხომ
აქ მუშაობდა ქარხნის მთა-
ვარ მეღვინედ და
დაადგა თვალი ნუნუს,
თავად გურამ ჩარკვი-
ანი იმხანად სტუდენტი ყოფი-
ლა. ასე გახდა ნუნუ
ჩარკვიანების და ლენსუმელების
რძალი.

მერე მუშაობდა მიკრობიოლო-
გად, ლაბორატორიის გამგედ,
მთავარ ინჟინრად, 1982 წელს
სამტრესტის დირექტორად და-
წინაურეს.

მკითხველს არა მგონია დასჭი-
რდეს ნუნუ გამცემლიძის ქალ-
ობის ესოდენ გაშფოტვა. სხვათ-
აშორის რესპუბლიკის მთელს
სისტემაში მაშინ ნუნუ იყო
ერთადერთი ქალი დირექტორი
და კარგი დირექტორი, ორგანი-

ზატორი, პრინციპული და უნა-
რიანი. მისი ხელმძღვანელობის
პერიოდში სამტრესტის ცაგერის
ღვინის ქარხანა რესპუბლიკაში
გარდამავალი დროშის მფლობე-
ლი გახდა. 5000-6000 ტონა
ყურძენს ამუშავებდნენ იმხან-
ად ღვინის მრეწველები.

ნუნუს ნიჭი და შემოქმედება,
გული და სიტბო იყო ჩადებული
მევენახეთა სახლი რომ გაიხსნა

მდინარე რაჩხაზე. აქ იყო შეს-
ანიშნავი სადგურსტაციო კუთხე,
სახელდებულ მევენახეთა პორტ-
რეტები, მარმარილოს სკამძელ-
ები, ლამაზი პანელბითა და
ტყავით გაწყობილი ჭერ-კედლე-
ბი, მაგრამ დღეს ყველაფერი
იავარქმნილია და გულისტკი-
ვილს ვერ ფარავს.

ყველამ იცის ნ. გამცემლიძის
აქტიური საზოგადოებრივი საქ-
მიანობა, ამასთან იყო ქალთა
რაიონული საბჭოს მდივანი.
რამდენი საინტერესო საღამო
და ღონისძიება გავიხსენეთ ცა-
გერში, სადაც ნუნუ
აუცილებლად შემოიტანდა
ახალს, საინტერესოს, ლა-
მას, თავისთავადს, საქველშ-
ოქმედოს. რამდენჯერ გვეზულ-
უნებთან დღეს ქალები, რამ და-
გვიკარჯათ ინტერესი, რაებს აკ-
ეთებდნენო ნუნუ გამცემლიძე,
თამარ ტვილდიანი, საშა ჩაკვე-
ტაძე...

ისიც გავიხსენეთ რამდენიმე
წლის უკან მას და გურამს
„ცაგერობის“ დღესასწაულზე
ვერცხლის ქორწილი რომ გადა-

უხადეს. ახლაც ლოყები მერე-
აკლამა მაგ არ გამახსენოთ ისე
ვიყავი დაძაბული, არაუკონი-
მასხვს, ასე „მორცხე“ დედა-
ფალი“ პირველ ქორწილზე
არ ვყოფილარ...
1989 წელს პენსიის ასაკი
დაუდგა, უნდა დაეტოვებინა
ვარ, ბებია, ვუყავითთაა წარმ-
ოება სავსე და მიხედეთ საქმე-
სო. თავად მისცა რეკომენდაცია
სამტრესტის ახლანდელ ხელმძ-
ღვანელობას.

მართლაც დაუჭერებელია
ჯერაც ახალგაზრდა, ნიჭითა და
უნარიით, სიყვითთა და სიყვარ-
ულით სავსე სახლში იჯდეს.
ასე ხალისით დღეს თანამდებო-
ბიდან კი არა, სამუშაოდან არ
მიდიან, მიდიან კი არა, ბევრს
სიკვდილამდეც არ უნდა დათ-
მოს ადგილი.

და მაინც ნუნუ ჩვენს გვერ-
დითაა, ღირსეული მანდილოსა-
ნი, და შეუფნდოთ ეს „ლალატი“.
ქალებს რა დაგვიღვედა საღ-
აპარაკოს. გურამიც შემოგვეს-
წრო, სახელმწიფო სატყეო მე-
ურნეობის მთავარი ინჟინერი,
კარგი მეუღლე და მამა, კარგი
მოქალაქე და კიდევ... კარგი
თამადა. შვილები კი თბილისში
არიან.

გამომშვიდობებისას ერთხელ
კიდევ შევაფეთე თვალი საღარ-
ბაშოში მამის, კუჭური
ჩარკვიანის ბიუსტს. ეს მართო
ხსოვნა კი არაა მამის, არამედ
სიმბოლოა ოჯახის ბურჯის, ზნე-
ობის, გაფრთხილება, გაცვითი-
ლია ჩარკვიანთა შთამომავლობი-
სათვის...

მ. ძნელაძე.

ალამიანი

ფლები მისი სიგლიდრეა

მზრმელი კაცი ყველაზე დიდ
სიხარულს მაშინ განიცდის, რო-
ცა თავის შრომის ნაყოფს უმზ-
ერს. ვინ იცის ამ წლის შემოდ-
გომაზე მერამდენედ დატკბება
თავისი შრომის ნაყოფით უსახ-
ელოელი გივი ყურაშვილი.
წლებია მისი სიმდიდრე, რომე-
ლიც ისე გალია, არც კი უგრძე-
ნია თუ სამოცდაათს მიუახლოვ-
და. ალალი, გამრჩე კაცია, ასე
იცნობს მთელი სოფელი.

დაიბ, დღეს ქვეყნის ეკონომი-
კას შრომისმოყვარე ადამიანები
წარმართავენ, ისინი, ვისაც მარ-
ჩენალი მიწის მოვლა-მართონ-
ობა უპირველეს მოვალეობად
დაუსახავთ.

უსახელოს კოლმეურნეობაში
იყო და მიწას თავს ევლებოდა,
დამსხვილდა კოლმეურნეობა და
გვივისთვის უცვლელი დარჩა
ერთი რამ—შრომა-გარჯა ბევრი,
ანაზღაურება ცოტა. ვერც ამან
აუტრუა გული მიწაზე. იჭარული
შრომა დაინერგა, ეს ხომ მატე-
რიალური დაინტერესების უტყ-
უარი ბერკეტი გამოდგა, იცის,

ბევრს იზრუნებს და მარაქით
გაანარებს ოჯახს. ამიტომაც აიღო
ოჯახური იჯარით 0,18 ჰექტარი
ზვარი და 0,15 ჰექტარი სასიმი-
ნდე. გაუფხულდა თუ არა ვაზ-
ის გასხვლა ვერაფერ მოასწრო.
მოვა დრო და ზურგზე აპარა-
ტით ზვარში პირველი ჩადგება.
ყანა და არც პირვე-
ლი თოხი დაუსწრია ვინმე-
ეს და არც მეორე, მართალია
მეუღლე ეხმარება, მაგრამ იმას-
აც თაკილობს, ქალებს ისედაც
ბევრი საქმე აქვთო.

—დგება ახალი დრო, იბადება
თავისუფალი საქართველო,
რომელმაც ყველაფერი თვითონ
უნდა ითავოს, თვითონ უნდა
განავოს, თვითონ უნდა შექმნას,
ამიტომ ყოველი გონიერი ადამ-
იანი იმას უნდა ცდილობდეს,
რაც შეიძლება მეტი საქმე აკე-
თოს, კონკრეტული საქმე—ბატ-
ონი გივის ამ სიტყვებში საქმე-
ზე შეყვარებული კაცი სუნთქავს,
თუ კი ძალა შეგწევს და გული
გერჩის. ამ დროში სირცხვილია
დროს უქმად ატარებდე, წლები
რა არის, გულია მთავარიო, ასე
სწამს სამი შვილის მამას, ქვეყ-
ნის სასარგებლო შრომაში გამო-
ბრძმდელს.

ჯანის სიმრთელე ნურც მოჰკ-
ლებოდეს გამრჩე და შრომისმო-
ყვარე კაცს.

ბ. გაპრაძე.

აქტუალური ინტერესი

პრივატიზაცია — გზა

საბაზრო ეკონომიკისაკენ

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს მიერ მიღებუ-
ლი პრივატიზაციის კანონის მი-
ზანია დააჩქაროს საბაზრო ეკო-
ნომიკაზე გადასვლა.
საქინფორმის კორესპონდენტ-
მა სთხოვა საქართველოს უზენა-
ესი საბჭოს ეკონომიკური რეფორ-
მის მუდმივი კომისიის თავ-
მჯდომარეს გივი თაქთაქიშვილს
განემარტა მიღებული კანონის
მნიშვნელობა რესპუბლიკის
ეკონომიკური დამოუკიდებლობ-
ის მიღწევისათვის, დეცხასიათე-
ბინა მისი თავისებურებანი და
რეალიზაციის გზები.

—ეს კანონი გაცილებით რა-
დიკალურია, ვიდრე ბალტიისკ-
ირეთსა და რუსეთში მიღებული
ანალოგიური კანონები. აქ გათ-
ვალისწინებულია სახელმწიფო
საწარმოთა პრივატიზაციის ორი
მიმართულება: საკონკურსო და
სააქციო, ვინც წარმო-
ების ფუნქციონირების უფ-
რო უკეთეს პირობებს შემო-
გვთავაზებს, ის მიიღებს მას სა-
წყის ფასში, და შესაძლოა კრე-
დიტითაც კი, სხვათაშორის, სა-
წარმოს გამოსყიდვის პრიორიტ-
ეტული უფლება ენიჭება მის კო-
ლექტივს. ამ მიზნით საქმარისია,
რომ მთელი კოლექტივის ორმა
მესამედმა განაცხადოს სურვი-
ლი, რომ მზადაა საწარმო ბილ-
ის იჯარით და დროთა განმავლ-
ობაში მთლიანად შეისყიდოს
იგი. რასაკვირველია, შეიძლება
აგრეთვე საწარმოს ერთბაშად
გამოსყიდვაც.

მუშაკთა უარის შემთხვევაში
ძალაში შევა მეორე ვარიანტი,
რომლის თანახმადაც საწარმოს
შესყიდვა შეუძლია სხვა პირს,
მაგრამ ამ შემთხვევაშიც გათვა-
ლისწინებული უნდა იქნას კო-
ლექტივის ინტერესები, რომლის
თანახმადაც შესყიდვა ხდება
მხოლოდ საწარმოს კოლექტივის
თანხმობით.

კოლექტივის სასარგებლოდ
გათვალისწინებულია კიდევ ერ-
თი მომენტი, თუ წარმოება საა-
ქციო საზოგადოებად ან საწარ-
მოდ უნდა გარდაიქმნას, მაშინ
ყოველ მუშაკს უფლება აქვს
მისი აქციები შეიძინოს ოცპრო-
ცენტიანი ფასდაკლებით.

კანონი ძალაში შედის 1 ოქ-
ტომბრიდან. მისი წარმატებით
ფუნქციონირებამდე დარჩენილ
დროში საჭიროა კიდევ შემუშა-
ვდეს მთელი რიგი ქვესაკანონ-
მდებლო აქტები, რომლებიც
შესაბამისობაში იქნება დასახუ-
ლი პრინციპების ინფრასტრუქტ-
ურასთან და უპირველეს ყოვე-
ლისა —სახელმწიფო ქონების
მართვის კომიტეტის შექმნა,
რომელიც მთავრობასთან ყალი-
ბდება.

კომიტეტი წარმოადგენს სამ-
თქმედო პროგრამას, საწარმოთა
სიას, რომლებიც პრივატიზაციის
დაექვემდებარებიან, ყველაფერი
ეს განხილული იქნება მთავრო-

ბის მიერ და დამტკიცებს საქ-
ართველოს რესპუბლიკის უზე-
ნაესი საბჭო. ხოლო მის უშუ-
ალო განხორციელებას შეუდგე-
ბა სახელმწიფო ქონების ფონდი,
რომელიც კომერციულ საწყისე-
ბზე შეიქმნება. იგი იქნება აქცი-
ების მფლობელი, რომლის ნაწ-
ილს გაყიდის, ხოლო ნაწილი
სახელმწიფოს საკუთრება იქნე-
ბა. იგი თავისთვის დიდიშეებს
აქციების საკონტროლო პაკეტს
მრეწველობის სტრატეგიულ
დარგებში—ტრანსპორტზე, ენე-
რგეტიკაზე და ზოგიერთ სხვა-
ზე, რომელთა განვითარებაც სა-
ხელმწიფოს მონაწილეობის გა-
რეშე წარმოუდგენელია.

რაც შეეხება საცხოვრებლის
პრივატიზაციას, ამ საკითხზე
შემუშავებულ იქნება ცალკე
დებულება, რომელსაც სათ-
ანადო განხილვის შემდეგ მიიღ-
ებს საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭო. ისე რომ, ბინ-
ების გამოსყიდვა გათვალისწინ-
ებულია.

კანონით გათვალისწინებული
პრივატიზაციის პრიტესები, თა-
ვისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე
გადასვლა ხელს შეუწყობს ინი-
ციატივების გამოწვევას, ადამიან-
ებს დამატებით შრომისადმი
ინტერესს, საშუალებას მისცემს
სრულად გამოავლინონ თავიანთი
საქმიანი თვისებები.

მატრიკალი

მოგვილოცავს

ჯანმრთელობის სადაცააოქო

ბარმინი „ბოტულიზმი“ შე-
მოღებულ იქნა გერმანელი ექი-
მის კერნერის მიერ და ნიშნავს
ძნელი მოწამვლას. მან აღწერა
ბოტულიზმის 76 შემთხვევა,
რომელთაგან 37 სიკვდილით და-
მთავრდა. ყველა შემთხვევის
მიზეზი ძნელი იყო. თანამედრო-
ვე გაგებით ბოტულიზმი ეწოდე-
ბა ბოტულიზმის მიკრობების
მოქმედებით გამოწვეულ ტოქს-
იკოინფექციას.

ბოტულიზმის მიკრობები ბინა-
დრობს ცხოველთა ნაწლავებში
ისე, რომ თავად ცხოველები
ავად არ ხდებიან. იმისათვის,
რომ დაავადება განვითარდეს,
ორგანიზმში უნდა მოხდეს მიკ-
რობის მიერ გამოშვებული
ეგზოტოქსინის ტოქსინის გამ-
ოყოფისათვის კი ნაწლავებში
არაა სათანადო პირობები. ამგვ-
არად ნაწლავებში არსებულ
მიკრობებს არავითარი ზიანი არ
მოაქვთ. ბაქტერიომბარებული
ცხოველებისათვის, მაგრამ ეს
ცხოველები განავალთან ერთად
დიდი რაოდენობით გამოყოფენ
ბოტულიზმის მიკრობებს გარე-
შე და ბინძურდება წყალი,
ბოსტნეული, ხილი და სხვა პრო-
დუქტები. გარემოში მიკრობს
აქვს უნარი გაცივების მცირე
გარსი ე. წ. სპორა, რა სახითაც
ათეული წლების განმავლობაში
ისინი ინახებიან ნიადაგში.

საკვებ პროდუქტში მოხვედრ-
ილია მიკრობმა ეგზოტოქსინის
გამომშვადეობა რომ დაიწყოს, სა-
ჭიროა მთელი რიგი პირობები:

1. უმაღრო, ანუ ე. წ. ანაერ-
ბული გარემო—ასეთი უფანდბლო
არე იქმნება კონსერვის ქილებ-
ში, ძეხვის, თევზის ან ხორცის
სისქეში.
2. სათანადო ტემპერატურა
(+22+37 გრადუსი) ამ ტემ-

პერატურაზე მიკრობი ტოქსინს
გამოყოფს 2-3 დღეში.

3. საკვები პროდუქტი არ უნ-
და შეიცავდეს დიდი რაოდენო-
ბით მარილს ან შაქარს, ტოქ-
სინი არ გამოიყოფა თუ პროდ-
უქტი 10 პროცენტზე მეტ სუფ-
რის მარილს, ან 5 პროცენტზე
მეტ შაქარს შეიცავს.

4. პროდუქტის რეპტია არ
უნდა იყოს ძალზე მუავე, ან ძა-
ლზე ტუტი, რადგან მუავე და
ტუტი გარემოში ტოქსინი არ
გამოიყოფა.

ზემოაღნიშნულ ბოტუ-
ლიზმის განვითარებას იწვევს

ამჟამად სახლში კონსერვების
დამზადებით გაზრდილი ბოტულ-
იზმის შემთხვევები, რომელთა
33 პროცენტი სწორედ სახლში
დამზადებულ კონსერვებზე მო-
დის. ხშირად ბოტულიზმს იწვე-
ვს სოკოს, ბაქტერიის, პამიდო-
რის, დანდურის, კიტრის, მწვა-
ნი ლობიოს, სტაფილოს და სხვა
ბოსტნეულის კონსერვი. ხილის
კონსერვებით გამოწვეული ბო-
ტულიზმი უფრო იშვიათია, რა-
დგან ხილი მიწით შედარებით
იშვიათად ბინძურდება. საკვებ
პროდუქტში გამოშვებული
ტოქსინი მოხვდება კუჭში, სადაც

თხიერი საკვები ცხვირთან გა-
დმოსდით, მძიმე შემთხვევაში აღ-
ნიშნულ სიმპტომებს ემატება სუ-
ნთქვის მოშლა და კუჭის სის-
უნთქი კუნთების დაზიანება.
რომ გონება სიკვდილამდე
ელი აქვთ. დროზე ჩატარებული
მკურნალობით გამოჯანმრთელე-
ბა იწყება 10-13 დღის შემდეგ.
ბოტულიზმი მეტად მძიმე და
საშიში დაავადებაა, ამიტომ პი-
რველი ნიშნების შემჩნევისთანა-
ვე ავადმყოფი სასწრაფოდ უნდა
იქნეს გადაყვანილი საავადმყოფ-
ოში.

ბოტულიზმს თავიდან ავიცი-
ლებთ თუ დავიცავთ შემდეგ
მოთხოვნებს:

1. ხორცი, თევზი, სოკო,
მწვანილი არ დავაკონსერვოთ.
 2. დასაკონსერვებლად ბადრი-
ჯანი, კიტრი, პამიდორი და სხვა
პროდუქტი უნდა შევარჩიოთ
ახლოდუტურად ხალი, შემდეგ
უნდა გავრეცხოთ სკოანადოდ
გამდინარე წყლით, ისე, რომ არ
შეგვხვდეს მიწის ნამცეცხი კი.
კონსერვს უნდა მივუშალოთ 6
პროცენტის მარილის მუავე, რა-
დგან მუავე არეში ბოტულიზმის
მიკრობები ტოქსინს არ გამოყო-
ფს.
 3. ხილიც ასევე უნდა იყოს
ხალი, კარგად უნდა გაირეცხოთ
და გათალოს.
 4. კონსერვი უნდა ინახებოდ-
ეს ცივ ადგილას, რადგან სიცო-
ვეში ტოქსინი არ გამოიყოფა.
 5. კონსერვი ჭამის წინ უნდა
ავადულოთ 10-15 წუთის გან-
მავლობაში. ძეხვი, თევზი და
ლორი უნდა შევწვათ ზნ მოვს-
არმოთ.
- ბოტულიზმის საწინააღმდეგო
შემოადინებული წესების დაც-
ვით გვახდავადოვით. ამ და-
ავადებას, დავიცავთ საკუთარ
თავს, ოჯახს, ბავშვებს ამ საშიში
მოწამვლისაგან.

ი. კოპალიანი,
ცაგერის სანეპიდსადადგურის ექი-
მი-ეპიდემიოლოგი.

ბოტულიზმი

კონსერვები, ძეხვი, ლორი ან
შაშხი, შებოლილი, გამხმარი,
ან დამარილებული თევზი, თუ
ეს პროდუქტები გაბინძურდა
ცხოველთა ნაწლავის შიგთავსით
დაკვლის ან დამუშავების
დროს.

ბოსტნეული პროდუქტები ბი-
ნძურდება მიწით. ასეთი გაბინ-
ძურებული საკვები პროდუქტების
განთავსულობა სპორებისაგან
ძნელია, რადგან ის იტანს გაყი-
ნვას, დუღილს, სადღეისოფეციო
ხსნარებს, სპირტს, მუავეებს და
ტუტებს. საკვებ პროდუქტში
სპორების განადგურება შეიძლე-
ბა მხოლოდ 120 გრადუსზე
სტერილიზაციით ავტოკლავში.
სახელმწიფო კონსერვების
გასტერილიზება ავტოკლავში
ხდება, ამიტომ სახელმწიფო კო-
ნსერვები თითქმის საშიში არაა.

სახლში კი კონსერვების დამ-
ზადების დროს სტერილიზაცია
დუღილით ხდება, რაც სპორას
არ კლავს, მაგრამ თუ ტოქსინი
გამოყოფილია, ის იშლება, ამი-
ტომ თუ დაკონსერვებულ პრო-
დუქტს ჭამის წინ ავადულებთ,
ბოტულიზმისაგან დაზღვეული
ვიქნებით.

მასზე არ მოქმედებს იქ არსებ-
ული მუავე არე, გადღის ნაწლ-
ავებში, საიდანაც შეიწოვება.
ის აბსორბირებს ნერვიდან კუჭ-
თზე აგზნების გადტემას, რაც
კუჭის დამზღვს იწვევს. ყველ-
აზე მეტად ზიანდება თვალის
მამოპრავებელი, ხახის, ხორხის,
სასუნთქი გზების კუნთები, რის
შედეგადც ირღვევა მხედველო-
ბა, კლავა, სუნთქვა.

დაავადება ვითარდება დაბინ-
ძურებული საკვების მიღებიდან
6-48 საათის შემდეგ, შეიძლება
რამდენიმე დღის შემდეგაც.

დასაწყისში გამოხატულია ზო-
გადი სისუსტე, ხოლო შემდეგ
იკვეთება ბოტულიზმისათვის
დამახასიათებელი ნიშნები: მხე-
დველობის მოშლა, დაბინდვა,
ან გაორება, ზემო კუთუთონ
დაშვება, გუგუების გაგანიერება,
ან შევიწროება, თვალის მამოპ-
რავებელი კუნთების დაზღვრა,
რის გამოც ავადმყოფს უჭირს
კითხვა, ვითარდება ყლაპვის და
მეტყველების მოშლა, ხმა ჩახლე-
ჩილია, შეიძლება განვითარდეს
ხმის დაკარგვა, ავადმყოფებს
უჭირთ ყლაპვა და მიღებული

ფასები? — არასტაბილური!

საპარტეზლოში ფაქტობრი-
ვად ომია, სამოქალაქო, ძმათა
მკვლელობა, მაგრამ ცხოვრ-
ება მაინც ცხოვრებაა, არსებობა
გვჭირდება, ჩასაცემელ-დასახურ-
ავი და სურსათი.

საბაზრო ეკონომიკა მთელი
სიმძიმით დააწვა ადამიანებს,
თვალსა და ხელს შუა იზრდება
ფასები, არის მითქმამოთქმა,
გულისწყრომა, ადამიანთა შემ-
ფოთებული სახეები.

რაიკოპერატორის გამგეობამ
გვთხოვა მკითხველს განვუმარტო-
თ ზოგიერთი რამ ფასებთან
და მის ცვლილებებთან დაკავში-
რებით.

ჩვენთვის, უფრო მეტად მო-

მხმარებლისთვის, სამწუხაროდ,
ერთი და იგივე მარკის საქონე-
ლი ერთი და იგივე მომწოდებ-
ლიდან სხვადასხვა ფასით შემო-
დის. ცეკავშირის გადაწყვეტი-
ლებით საბოლოოდ ინსტრუქც-
იის შესაბამისად ფასს რაიკოპე-
რატორი არეგულირებს, რაც
ზოგჯერ უხერხულობას ქმნის.

ასე, მაგალითად, ნეილონის
შა ფარდები, რომლებიც ქალ-
აქის უნივერსიტეტში შემოტანილია
მიმდინარე წლის 6 აგვისტოს,
მომწოდებლის ფასით 120 მანე-
ტი ღირს, სავარცხელი—1 მანე-
ტი, იგივე საქონელი 13 სექტე-
მბერს მიიღო ქალაქის საბედნი-
ერო და ვეტერანთა მაღაზიებმა,
სადაც ფარდის ფასი 144 მანე-

თი, სავარცხლის —1 მანეთი და
80 კაპიკა. სასურსათო მაღაზია-
ში 14 მანეთად და 40 კაპიკად
იყიდება იმპორტული წარმოე-
ბის სიგარეტი „პალმანი“, ლენტ-
ესში კი—12 მანეთად. საქმე
იმში განსაზღვრულია, რომ რაიკოპე-
რატორს დათმობა არ მისცა შე-
საბამისმა ბაზამ და არსებული
პრეისკურანტის გათვალისწინებ-
ით დაერიცხა 20 პროცენტი.
იგივე მიზეზითაა განპირობებუ-
ლი ფარდებისა თუ სხვა საქონე-
ლზე ორფასიანობა.

დღეს მუიღველიც გარკვეულად
არის გათვითცნობიერებული არ-
სებულ მდგომარეობაში, მაგრამ
ისევ გვინდა გავიმეოროთ, რომ
ხდება ფასების რეგულირება და

საქონლის ფასი იკვეთება იმის
მიხედვით, თუ რა ჯდება მისი
შემოტანა-მიღება.

რაიკოპერატორს, რომელიც
სამეურნეო ანგარიშზე და, ბუ-
ნებრივია, მისი საფინანსო-ეკო-
ნომიკური მდგომარეობა მოგებ-
იდან გამომდინარეობს, ზემოთ-
აღნიშნული ფასისხვაობის დროს
აქვს უფლება ააფასოს ადრე
მიღებული საქონელი, რათა აი-
ცილოს ორფასიანობა, აღმოფხ-
ვრას ექვი და მითქმამოთქმა,
აიცილოს რაიმე მაქინაციის
მცდელობა, მაგრამ არსებულ
ნაშთს ტოვებს ძველი ფასით,
ისევ და ისევ მომხმარებლის სა-
სარგებლოდ.

(დასასრული).

საღვთო სჯული არ იწყნარებს
თვითმკვლელს. ეს კი თვითმკ-
ვლელობაზე უარესია. ჯოჯონეთ-
ის მარადიული ცეცხლი, რომე-
ლიც ყოველ თვითმკვლელს ელ-
ოდება საუკუნო განსას-
ვენებელში, გია აბესაძემ საკუ-
თარი ხელით შემოიგზნო ტანზე.
და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ
თანამემამულეთა გონსმოსვლის
იმედი ჰქონდა. მერე რა, რომ

ეს იმედი არ გაუმართლდა.
განა. შეიძლება დავებოთ კაცი
იმისათვის, რომ ქართველის
სჯეროდა, ღვიძლი, სისხლისმიე-
რი, ქრისტესმიერი მისა სჯერო-
და. სწამდა, რომ ერისკაცე-
ბი მართლა ფიქრობენ ერზე.
რუსთაველის მოედანზე გა-
ნდილისა და ნანახის შემდეგ

ბევრი ფიქრობდა ამ ნაბიჯის
გადადგმას, მაგრამ მხოლოდ იმ-
იტომ არ გააკეთა, რომ უბრალო-
დ, უფრო პრაგმატული განება
აღმოჩნდა, იცნობდა იმ ადამი-
ანთა ფსიქიკას, ვისზეც შერიგე-
ბაა დამოკიდებული.

დაფიქრდეთ, ქართველნი
ღირსებადაკარგულ მოღვაწეებს

პირუტყვებად ნუ ვიჭყვით. ზემ-
აგალითო გმირობას გიყის ნაბ-
ოღვარად ნუ მოგნათლავთ, თო-
რემ ეს უკვე ბოლოა და ქართვე-
ლობის აღსასრული.

იან ხელიძე.
რედაქტორი
ნ. ნამსაძე.

